

<p>საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება</p>	<p>საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (0422) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება</p>	<p>განათლების ადმინისტრირება</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>	<p>პროგრამის მიზანია მოამზადოს:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ლიბერალური ღირებულებების მატარებელი პიროვნება; ბ) სხვადასხვა საფეხურის/ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულების/სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, რომელსაც ექნება გუნდური მუშაობის, ლიდერობის, ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების მართვის, მრავალფეროვან კონტექსტში საგანმანათლებლო პრობლემების დანახვის, ანალიზის, შეფასების და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების/ინიცირების უნარი; გ) პროფესიონალი ლიდერი, რომელიც განათლების სფეროს განვითარების თანამედროვე ტენდენციებსა და კვლევებზე დაყრდნობით შეძლებს განათლების პოლიტიკის ეფექტიანობის უზრუნველყოფას. <p>პროგრამის ფარგლებში გამოიმუშავებული კომპეტენციებით კურსდამთავრებული შეძლებს სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო დაწესებულების/სტრუქტურული ერთეულის ეფექტიანად მართვა-ხელმძღვანელობას, განათლების სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.</p> <p>კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმებას და კარიერულ წინსვლას საშუალო და მაღალი რგოლის ხელმძღვანელის (ადმინისტრაციულ) პოზიციაზე სხვადასხვა საფეხურის სახელმწიფო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებში, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მასზე დაქვემდებარებულ სტრუქტურებში.</p> <p>კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლის გაგრძელება უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე (დოქტორანტურაში).</p>
<p>სწავლის შედეგები</p>	<p>1. ცოდნა და გაცნობიერება</p> <ul style="list-style-type: none"> 1.1 აქვს განათლების სფეროს მართვის თეორიებისა და კონცეფციების ღრმა და სისტემური ცოდნა; 1.2 იცნობს განათლების სისტემის სტრუქტურას, მიზნებს და მარეგულირებელ დოკუმენტებს, განათლების სფეროს განვითარების თანამედროვე ტენდენციებსა და კვლევებს, განათლების პოლიტიკის, ფინანსებისა და სამართლის მთავარ ასპექტებს; 1.3 ფლობს კვლევის მეთოდებს და აცნობიერებს მათი გამოყენების აუცილებლობას ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისთვის; 1.4 იცის კურიკულუმის შედგენისა და მართვის პრინციპები. <p>2. უნარი</p> <ul style="list-style-type: none"> 2.1 აქვს საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის, გუნდური მუშაობის, ლიდერობის, ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების მართვის უნარი; 2.2 აქვს მრავალფეროვან კონტექსტში საგანმანათლებლო პრობლემების დანახვის, ანალიზის, შეფასების და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების/ინიცირების უნარი; 2.3 შეუძლია სპეციალური საგანმანათლებლო კონტექსტისთვის კურიკულუმის დაგეგმვა და ადაპტირება;

	<p>2.4 ახდენს რთული ან არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკულ ანალიზს, სინთეზს, შეფასებას და დასკვნების ჩამოყალიბებას, რომლებშიც აისახება სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები;</p> <p>2.5 უცნობი და/ან მულტიდისციპლინური გარემოს სპეციფიკის გათვალისწინებით ისახავს პრობლემის მოგვარებისა და მისი გადაჭრის ორიგინალურ გზებს;</p> <p>2.6 უახლესი მიდგომების გამოყენებითა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს კვლევას, აყალიბებს დასკვნებს და ახდენს კვლევის შედეგების ასახვას ნაშრომში;</p> <p>2.7 საკუთარ დასკვნებს, არგუმენტებს და კვლევის შედეგებს აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით წარუდგენს როგორც აკადემიურ, ასევე პროფესიულ საზოგადოებას;</p> <p>2.8 შეუძლია განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პროექტების შემუშავება და მართვა.</p> <p>3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p> <p>3.1 ახალი სტრატეგიული მიდგომების გამოყენებით მართავს განათლების სხვადასხვა საფეხურზე კომპლექსურ, არაპროგნოზირებად ან მულტიდისციპლინურ სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს, ახდენს მის სრულ ადაპტირებას;</p> <p>3.2 იღებს პასუხისმგებლობას დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალის საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე;</p> <p>3.3 დამოუკიდებლად გეგმავს, წარმართავს, აანალიზებს და აფასებს საკუთარი პროფესიული განვითარების პროცესს.</p>
შეფასების წესი	<p>ცალკეულ სასწავლო დისციპლინაში სტუდენტის საბოლოო შეფასება განისაზღვრება აკადემიური აქტივობის, რეიტინგული შეფასებისა და გამოცდის შედეგების ჯამით. საბოლოო შეფასება განისაზღვრება შემდეგი რანჟირებით: A, B, C, D, E, FX, F.</p> <p>A – ფრიადი 91-100 ქულა;</p> <p>B – ძალიანკარგი 81-90 ქულა;</p> <p>C – კარგი 71-80 ქულა;</p> <p>D – დამაკმაყოფილებელი 61-70 ქულა;</p> <p>E – საკმარისი 51-60 ქულა;</p> <p>FX – ვერ ჩააბარა 41-50 ქულა. სტუდენტს აქვს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>F – ჩაიჭრა 0-40 ქულა. სტუდენტს საგანი თავიდან აქვს გასავლელი.</p>
საკონტაქტო პირი	<p>ნანა მაკარაძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი</p> <p>საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონი: (+995) 593 60 60 71 ელ. ფოსტა: nmakaradze@bsu.edu.ge</p>